

„ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პოლიტიკა
საქართველოში 2014-2021 წლებში“

თამარ დალაქიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: არჩილ აბაშიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ დალაქიშვილი

26.06.2022

აბსტრაქტი

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ახალგაზრდები ქვეყნის მდგრადი განვითარების და ადამიანური კაპიტალის ძირითად საყრდენ ძალას წარმოადგენენ. მათი ცხოვრების სწორი ეკონომიკური განვითარება ქმნის ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის საფუძველს.

საქართველოში ახალგაზრდების უმუშევრობა სახელმწიფოს წინაშე მდგარი ერთ-ერთი უმწვავესი ამოცანაა, რომლის გადაჭრაც მოითხოვს სახელმწიფოსა და სხვა კერძო ინსტიტუტების კომპლექსურ მიდგომას, თანამშრომლობას, განვითარებული ქვეყნების წარმატებული მაგალითების დანერგვას ქართულ რეალობაში და ახალგაზრდებისთვის ისეთი მიდგომებისა და მექანიზმების შექმნას, რაც დაეხმარება მათ საკუთარი პოტენციალის, შესაძლებლობების სრულად რეალიზებაში და ხელს შეუწყობს ახალგაზრდების კეთილდღეობასა და უწყვეტ განვითარებას.

მოცემული კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობისათვის სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის შესწავლა 2014 წლიდან დღემდე, ამ პოლიტიკის ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება და გაანალიზება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ახალგაზრდები; უმუშევრობა; დასაქმება; შრომის ბაზარი; სახელმწიფო პროგრამა.

Abstract

It is a well-known fact that young people are the mainstay of the country's sustainable development and human capital. Proper economic development of their lives forms the basis of the economic prosperity of the country. Youth unemployment in Georgia is one of the major problems facing the state, Which requires a complex approach of the state and other private institutions, cooperation, the introduction of successful examples of developed countries in the Georgian reality and create approaches and mechanisms for young people that will help them realize their full potential, opportunities and will contribute to their prosperity and continuous development.

The main purpose of this paper is to study the policies pursued by the state to promote youth employment from 2014 to date and evaluate and analyze the strengths and weaknesses of this policy.

Keywords: young people; Unemployment; Employment; Labor Market; State program.